RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# საქართველოს ეკონომიკა სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში

იოსებ არჩვაძე

133

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# ექსპერტის აზრი

იოსებ არჩვაძე

## საქართველოს ეკონომიკა სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში

133

2020

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

## შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ თითქმის სამი ათწლეულია გასული, მეცნიერებისა და პოლიტოლოგების ინტერესი ამ სისტემისა და მისი ნგრევის მიზეზების მიმართ, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე მის ფარგლებს გარეთ, საკმაოდ მაღალია.

ამასთან, ამ განვლილ პერიოდში ერთ დროს ერთიანი ქვეყნის ცალკეულ რესპუბლიკებს შორის გაღრმავდა ეკონომიკური და პოლიტიკური უთანხმოებანი, წარმოიშვა წინააღმდეგობები. ყველა ამ ექსცესში, სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით, ჩართულია სსრკ-ის სამართალმემკვიდრე – რუსეთის ფედერაცია, რომელიც ჯერაც ვერ/არ განთავისუფლებულა იმპერიის ფანტომური ტკივილებისა და ამბიციებისაგან. ის პრობლემები, რომლებსაც თავიანთ განვითარებაში „ერთიანი შინელიდან“ (ანუ სსრკ-დან) გამოსული რესპუბლიკები აწყდებიან, რუსეთი ექსკლუზიურად მათ „დამსახურებად“ მიიჩნევს, თუმცა ამ პრობლემათა ფორმირებასა და ზრდაში საკუთარ სოლიდურ „ღვაწლს“ კატეგორიულად არ ამჩნევს. რუსეთის მიზანია ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა იყოლიოს „მოკლე ღვედზე“ თავის ორბიტაში. ამისათვის კი იგი, სხვა მრავალ მეთოდთან ერთად, იყენებს საბჭოთა პერიოდის რომანტიზაციას, ახდენს რა ამ ქვეყნების საბჭოთა პერიოდის ეკონომიკური მდგომარეობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მონაცემების შელამაზებას.

ბოლო პერიოდში საქართველოსთან წარმოებული ჰიბრიდული ომი რუსეთმა გააძლიერა პროპაგანდისტული ასპექტით – საქართველოს მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ორკომპონენტიანი ნარატივის საფუძველზე, თითქოს:

1. საქართველო საბჭოთა პერიოდში არსებობდა სხვა რესპუბლიკების (პირველ რიგში, რუსეთის) ხარჯზე, რითაც საშუალო სულადობრივი მოხმარება საქართველოში საშუალო საკავშირო დონეს რამდენჯერმე აღემატებოდა;
2. პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობა უშუალოდ და ექსკლუზიურად თავად ქართველთა „დამსახურებაა“ და კიდევ იმისა, რომ რუსეთი აღარ ინახავს საქართველოს.

ეს ორი თეზისი აქტიურად „დახეტიალობს“ რუსულ გამოცემებში – აკადემიურიდან დაწყებული და ბულვარული, ყვითელი პრესით დამთავრებული. ამით ცდილობენ საკუთარი და საქა-

რთველოს მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს მაცხოვრებლები ექსკლუზიურად ცენტრის (ე.ი. რუსეთის) დამსახურებით „კარგად ცხოვრობდა“, ხოლო საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკური სიტუაცია, რომლიც მართლაც არცთუ ისე სახარბიელოა, ასევე ექსკლუზიურად ქართველთა არაკომპეტენტურობისა და ცუდი, არაეფექტიანი მართვის დამსახურებაა. შესაბამისად, თუ საქართველოს მოსახლეობას კვლავაც უნდა „კარგად ცხოვრება“, ეკონომიკურად, პოლიტიკურად და მენტალურად რუსეთზე უნდა გახდეს „მიბმული“ და დამოკიდებული...

აღნიშნული მიდგომა მთლიანად ეწერება რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ცნობილი წარმომადგენელის – ანატოლი ჩუბაისის მიერ ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში გაჟღერებულ ე.წ. „ლიბერალური იმპერიის“ კონცეფციაში.[1]

ქვემოთ მოგვყავს ინფორმაცია, რომელიც ფანტავს ზემოთ წარმოდგენილ რუსულ ნარატივებს, მითებს საბჭოთა დროის საქართველოზე, საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკაზე და იძლევა ობიექტურ სურათს საქართველოს ეკონომიკაში საბჭოთა პერიოდში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე.

## საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა

ჰიბრიდული ომის კლასიკურ ნიშანს ატარებს რუსულ მედიაში საკმაოდ ხშირი პერიოდულობით გამეორებული თეზისი, თითქოს საბჭოთა პერიოდში საქართველოს თითოეული მცხოვრები საკუთარ რესპუბლიკაში წარმოებულთან შედარებით 4-ჯერ მეტ დოვლათს მოიხმარდა (შესაბამისად, 41,9 ათასი აშშ დოლარი და 10,6 ათასი აშშ დოლარი)[2].

ეს მონაცემები თითიდანაა გამოწოვილი, რადგან შეუძლებელია 1990 წელს საქართველოს, როგორც ღრმა და გაჭიანურებულ კრიზისში მყოფი საბჭოთა კავშირის ნაწილს, ასეთი მასშტაბური მოხმარება ჰქონოდა, როდესაც თვით აშშ-ში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი სამამულო პროდუქტი[3] (GDP) იმ წელს მხოლოდ 24,0 ათას დოლარს აღწევდა და რუსული მედიის მიერ საქართველოსათვის მიწერილ „41,9-ათასიან“ დონეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლიდან 13 წლის შემდეგ, 2004 წელს, მიაღწია.

და მაინც, რამდენი იყო საქართველოს GDP მოსახლეობის ერთ სულზე სსრკ-ის ბოლო პერიოდში?

რამდენადაც საბჭოთა კავშირის დროს არ არსებობდა მანეთი/დოლარის ერთიანი კანონიზებული საკონვერტაციო (გადამყვანი) მეთოდოლოგია, სხვადასხვა შეფასებით, სსრკ-ის GDP, აშშ-ის GDP-სთან მიმართებით, 36,5%-დან 46,5%-მდე[4] მერყეობდა. ჩვენი აზრით, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს უნდა იყოს პირველი – 36,5%-იანი მაჩვენებელი. მით უფრო, რომ 1990 წელს საბჭოთა ეკონომიკა, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 4%-ით, შემცირდა[5]. 1990 წლისთვის, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (სსრკ – 288,6 მლნ. კაცი, აშშ – 248,7 მლნ. კაცი), მშპ მოსახლეობის ერთ სულზე სსრკ-ში მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით შეადგენდა აშშ-ის ანალოგიური დონის მხოლოდ 31,3%-ს[6].

**1990 წელს საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი, ანალოგიური საშუალო საკავშირო მაჩვენებლის მხოლოდ 79,1% იყო, ხოლო მოხმარებისა და დაგროვებისათვის განკუთვნილი ეროვნული შემოსავალი – კიდევ უფრო ნაკლები – 76,5%.** იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების საგრძნობი ნაწილი ჩამოსულ ტურისტებზე მოდიოდა, ხოლო მომსახურების კომპონენტი არსებითად ზრდის GDP-ს, საბჭოთა მეთოდიკით გაანგარიშებულ ეროვნულ შემოსავალთან შედარებით, მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო გაცილებით ნაკლებად ჩამორჩებოდა სსსრკ-ს წარმოებული GDP-ით, ვიდრე ეროვნული შემოსავლით. რამდენადაც რომ საშუალოდ, წლიურად, საქართველოს არსებული მოსახლეობა მუდმივ მოსახლეობას დაახლოებით 7-8%-ით აღემატებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ **1990 წლისთვის მოსახლეობის ერთ სულზე** GDP **საქართველოში სსრკ-ის დაახლოებით 85 პროცენტს შეადგენდა.** 1990 წლისთვის მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული GDP იყო (აშშ დოლარებში): სსრკ-ში – 7563, საქართველოში – 6420, აშშ-ში – 24000. შესაბამისად, **ეკონომიკური განვითარების დონით საქართველო სსრკ-ის დონეს დაახლოებით 15%-ით, ხოლო აშშ-ისას თითქმის 3,8-ჯერ ჩამორჩებოდა.** იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობდა აშშ-სთან სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტის მიღწევას და შენარჩუნებას, პირდაპირი სოციალური საჭიროებისათვის რესურსები მონარჩენობის პრინციპით გამოიყოფოდა, რის გამოც კეთილდღეობის ფაქტობრივი დონე სსრკ/საქართველოში აშშ-ისას კიდევ უფრო მეტად ჩამორჩებოდა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები სსრკ-ის რესპუბ-ლიკებში 1990 წელს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული და მოხმარებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალის შესახებ მაქსიმალური სისრულით წარმოაჩენს საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენას საშუალო-საკავშირო დონესთან შედარებით.[7]

**ცხრილი 1**

**წარმოებული ეროვნული შემოსავალი და მოხმარებისა და დაგროვებისათ-ვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი სსრკ-სა და მასში შემავალ რე-სპუბლიკებში მოსახლეობის ერთ სულზე 1990 წელს**

(სსრკ = 100)

| **წარმოებული ეროვნული შემოსავალი** | | **მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი** | |
|---|---|---|---|
| ესტონეთი | 126,3 | ესტონეთი | 144,5 |
| ლატვია | 123,0 | ლატვია | 129,4 |
| ბელარუსი | 121,3 | რსფსრ | 115,2 |
| რსფსრ | 118,2 | ბელარუსი | 109,5 |
| **სსრკ** | **100,0** | ლიტვა | 106,2 |
| ლიტვა | 99,9 | **სსრკ** | **100,0** |
| უკრაინა | 92,6 | უკრაინა | 92,9 |
| სომხეთი | 83,9 | სომხეთი | 92,3 |
| მოლდოვა | 81,9 | ყაზახეთი | 91,9 |
| **საქართველო** | **79,1** | მოლდოვა | 89,1 |
| ყაზახეთი | 74,8 | **საქართველო** | **76,5** |
| აზერბაიჯანი | 66,0 | ყირგიზეთი | 73,0 |
| თურქმენეთი | 59,7 | თურქმენეთი | 65,3 |
| ყირგიზეთი | 56,6 | უზბეკეთი | 55,1 |
| უზბეკეთი | 47,5 | აზერბაიჯანი | 48,8 |
| ტაჯიკეთი | 36,4 | ტაჯიკეთი | 44,3 |

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავ-ლესობისათვის კეთილდღეობის კრიტერიუმის „სიმძიმის ცენტრი“ მატერიალურ დოვლათზე (სახლი, ბინა, ავეჯი, ავტომობილი...) გა-დიოდა, მაშინ, როდესაც მიღებული/შეძენილი მომსახურებით (რო-

გორც კეთილდღეობის მონეტიზებულ გამოხატულებაში, ისე კომპონენტთა რანჟირებაში) საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რუსეთის ფედერაციას.

**მაკროეკონომიკური მონაცემები არ ადასტურებენ კეთილდღეობის მხრივ საქართველოს რაიმე პრივილეგიას და უპირატესობას საკავშირო დონესთან შედარებით.** წარმოებული ეროვნული შემოსავლით მოსახლეობის ერთ სულზე სსრკ-ის 15 რესპუბლიკას შორის საქართველოს IX ადგილი ეკავა, ხოლო მოხმარებისა და დაგროვებისათვის განკუთვნილი ეროვნული შემოსავლით – X ადგილი. ამ მაჩვენებლებით საქართველო ჩამორჩებოდა სსრკ-ს, შესაბამისად, 20.9%-ით და 23.5%-ით, რუსეთის ფედერაციას – 33,1%-ით და 33,6%-ით, ხოლო პირველ ადგილზე მყოფ ესტონეთს – 37,4%-ით და 47,1%-ით.

თეზისი, რომ თითქოს საქართველო მოიხმარდა მის მიერვე წარმოებულ დოვლათზე მეტს, ბათილდება პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით, რომელთა მიხედვითაც, მოხმარების მთლიან მოცულობაში საქართველოში შემოტანილი პროდუქციის წილად მხოლოდ 26,2 პროცენტი მოდიოდა, ხოლო გატანილი პროდუქციის წილად – ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის 25,1%[8]. ამასთან, **უარყოფითი სალდო (შემოტანის მეტობა გატანასთან შედარებით) შეადგენდა 380 მილიონ მანეთს[9]** – საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 3.8 პროცენტს. ფასწარმოქმნის საბჭოთა პერიოდის მექანიზმის გამო 15 რესპუბლიკიდან მხოლოდ 2-ს (ბელარუსი, აზერბაიჯანი) ჰქონდა დადებითი სავაჭრო სალდო (პროდუქციის გატანა აჭარბებდა შემოტანას), დანარჩენი 13 რესპუბლიკის სალდო კი უარყოფითი იყო (შემოტანა აჭარბებდა გატანას). ამასთან, საქართველოს შემოტანა-გატანის უარყოფითი სალდოს მქონე 13 რესპუბლიკას შორის აღნიშნული სალდოს თანაფარდობა ეროვნულ შემოსავალთან ყველაზე მცირე ზომის საქართველოს ჰქონდა. შეადარეთ: საქართველო – 3,8%, რუსეთის ფედერაცია – 8,4%, სომხეთი – 17,5%, ყირგიზეთი – 30,4%[10]... ფაქტობრივად, **საქართველოს წვლილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში ისევე, როგორც მისგან მიღებული სარგებელი, ნაცვალგებაში ეკვივალენტურობის გათვალისწინებით, თითქმის ყველაზე ოპტიმალური იყო** (ბელარუსის შემდეგ, რომელსაც ჰქონდა +0,9 პ.პ.).

**შრომის ანაზღაურება**

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს ჰქონდა 100-ზე მეტი დარგი და წარმოება, იგი მაინც, თუ არ ჩავთვლით თითო-თითო მსხვილ საავტომობილო, საავიაციო, ჩარხმშენებელ და მეტალურგიულ საწარმოს, არ იყო დახუნძლული ინდუსტრიული გიგანტებით. საქართველოს რეალურ სექტორში სჭარბობდნენ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები, სადაც ანაზღაურება შედარებით დაბალი იყო. ეს დიდწილად განაპირობებდა ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის სიდიდეს, რომლის მიხედვითაც (1990 წ. – 214,0 მანეთი), საქართველოს 15 რესპუბლიკას შორის ეკავა XIII ადგილი, უსწრებდა რა ამ ინდიკატორით მხოლოდ ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანს. საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებით (196,3 მანეთი) საქართველო იყო მხოლოდ XII ადგილზე (უსწრებდა მხოლოდ სომხეთს, ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანს), ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების მიხედვით (233,4 მანეთი) – XI ადგილზე (უსწრებდა უკრაინას, ყირგიზეთს, უზბეკეთსა და ტაჯიკეთს).

**ცხრილი 2**

**შრომის ანაზღაურება საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ესტონეთში 1990 წელს**[11]

(პროცენტობით საშუალო საკავშირო დონესთან; სსრკ = 100)

| | მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი | საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა ხელფასი | კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება |
|---|---|---|---|
| საქართველო | **77,9** | **69,8** | **96,8** |
| რსფსრ | 108,1 | 111,3 | 109,9 |
| ესტონეთი | 124,1 | 118,1 | 145,8 |

## მოსახლეობის ფულადი შემოსავლები და მათი დასაქონლიანება

ჩამორჩენა შრომის ანაზღაურებაში ადეკვატურად აისახებოდა მოსახლეობის ფულად შემოსავლებზეც. 1990 წელს მოსახლეობის საშუალო სულადობრივმა შემოსავლებმა შეადგინა (მანეთი): სსრკ-ში – 2262,0 (100%), რუსეთის ფედერაციაში – 2584,1 (114,2%), საქართველოში – 2216,1 (98%).

ეკონომიკურ ჩამორჩენასთან შედარებით, საქართველო საშუალო-საკავშირო დონეს გაცილებით ნაკლებად ჩამორჩებოდა ფულადი შემოსავლებით, რაც რუსულ წყაროებში ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენება საქართველოს საკავშირო „კმაყოფაზე“ ყოფნის თეზისის გასამართლებლად. თუმცა, 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც ფულმა ფაქტობრივად დაკარგა თავისი საყოველთაო ეკვივალენტურობისა და პროპორციული გაცვლის აბსოლუტური უნარი[12] და მისი მყიდველობითი უნარიანობა დამოკიდებული გახდა ცალკეული რეგიონების დასაქონლიანების დონესა და ტოტალური დეფიციტის პირობებში საქონლის ხელმისაწვდომობაზე, ამგვარმა სხვაობამ დასახელებულ ჩამორჩენებს (ეკონომიკურ და ფულადი შემოსავლების მიხედვით) შორის ფაქტობრივად დაკარგა არსებითი მნიშვნელობაც.

ასეთი განსხვავება ძირითადად განპირობებული იყო სსრკ-ში შრომის ე.წ. საკავშირო დანაწილებით, სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ხილი, ციტრუსები) წარმოების სპეციალიზაციით. სსრკ-ის ბოლო პერიოდში საქართველო აწარმოებდა საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 93,2% და ციტრუსების 96,7%-ს[13]. ეს გარემოება რამდენადმე ამსუბუქებდა ქართველი გლეხების ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა არსებითი გარდატეხა მაინც ვერ შეჰქონდა. **საქართველოს მოსახლეობის იმ 1.3 მილიონი მცხოვრების შემოსავლები, რომლებიც ჩართული იყვნენ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმობაში, შეადგენდა: ჩაიდან – დაახლოებით 200 მლნ. მანეთს,[14] ხოლო ციტრუსებიდან – 270-300 მლნ. მანეთს,** ანუ აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობაზე გაანგარიშებით, საშუალოდ თვეში – 32 მანეთს, რესპუბლიკის თითოეულ მცხოვრებზე კი – მხოლოდ 7,6 მანეთს. შედარებისათვის: იმავე პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში დაქირავებით დასაქმებულთა მხოლოდ ხელფასის ფონდი 5,3 მლრდ. მანეთი იყო.[15] მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ე.წ. საკავშირო ფონდს **მტკიცე** (საბაზროსთან შედარებით საგრძნობლად დაბალი) ფასებით ყოველწლიურად მიეწოდებოდა 50,1 ათასი ტონა კარტოფილი,

45,2 ათასი ტონა ბოსტნეული, 99,8 ათასი ტონა ხილი და კენკრა და 95,8 ათასი ტონა ციტრუსი[16]. ეს ფაქტობრივად წარმოადგენდა ცენტრის მიერ რესპუბლიკებისათვის დაწესებულ ღალას.

საქართველოს ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო საქონლისა და მომსახურების შეძენის მხრივ. საცალო საქონელბრუნვის მიხედვით, საქართველოს საშუალო სულადობრივი თანაფარდობა (ჩამორჩენა) საკავშირო დონესთან (78,4%) ფაქტობრივად ისეთივე იყო, როგორც ეკონომიკური ჩამორჩენა, ანუ მოსახლეობის ზემოხსენებული შეფარდებითი სიჭარბე ფულადი შემოსავლებისა ეკონომიკური განვითარების დონესთან შედარებით (98,0%ვს.76,5%) პრაქტიკულად ნიველირდებოდა ფულადი შემოსავლების დასაქონლიანებისას. შედარებისათვის: ანალოგიური მაჩვენებელი რუსეთში – 109,5%, ხოლო ესტონეთში (ამ მხრივაც საუკეთესო მაჩვენებლის მქონე რეპუბლიკაში) – 166,9%.[17]. **თუ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ერთ სულზე ყოველი 100 მანეთის ფულად შემოსავლებზე მოდიოდა 76,2 მანეთის საქონლისა და მომსახურების შეძენა, საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი იყო მხოლოდ 64,5 მანეთი (84,6%).** 1990 წელს, ერთ სულზე გაანგარიშებით, საქართველოში მოსახლეობის მიერ შეძენილი საქონლის (ფასიანი მომსახურების გარეშე) მოცულობა იყო ნაკლები, ვიდრე სსრკ-ში (232,6 მანეთით – 12,4%-ით), რუსეთის ფედერაციასა (424,0 მანეთით – 20,5%-ით) და ესტონეთში (1452,3 მანეთით – 46,9%-ით). აღნიშნული ინდიკატორით საქართველო 15 რესპუბლიკას შორის იკავებდა ბოლოს წინა, მე-14, ადგილს. ფასიანი მომსახურების კომპონენტის გათვალისწინებას მცირეოდენი კორექტივი კი შეჰქონდა აღნიშნულ პროპორციებში, მაგრამ არსებითად არ ცვლიდა არც სიტუაციას და არც საქართველოს ადგილს სსრკ-ის რესპუბლიკებს შორის (იხ. ქვემოთ დიაგრამა).

**დიაგრამა**

**სსრკ-სა და მასში შემავალ რესპუბლიკებში მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დასაქონლიანების დონე 1990 წელს**

(ყოველ 100 მანეთ ფულად შემოსავალზე გაწეული ხარჯები საქონლისა და ფასიანი მომსახურების შესაძენად; პროცენტი სსსრკ-ის საშუალო მაჩვენებელთან; სსრკ = 100)




ფაქტობრივად, **საქართველო ორმაგად დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ორგვარად ჩამორჩებოდა საკავშირო დონეს:** ერთი – საშუალოდ ერთ სულზე ფულადი შემოსავალით და მეორე – მოსახლეობის შემოსავლების ყოველი მანეთის დასაქონლიანებით (ამ უკანასკნელით – დაახლოებით 1/6-ით).

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ერთიანი სახელმწიფოს, ერთიანი ფულადი სისტემის პირობებში, ზიარი ჭურჭლის პრინციპით ხდებოდა მოსახლეობის ფულადი რესურსების გადადინება დაბალი დასაქონლიანების რეგიონებიდან მაღალი დასაქონლიანების რეგიონებში. ამ მხრივ არც საქართველო და მისი მოსახლეობა წარმოადგენდნენ გამონაკლისს. 1981-1989 წლებში მოსახლეობამ საქართველოდან დასაქონლიანების მიზნით სხვა რესპუბლიკებში 5,3 მილიარდზე მეტი მანეთი გაიტანა.[18] ეს შესაძლებლობას აძლევდა დაბალი დასაქონლიანების მქონე საქართველოს მოსახლეობას რამდენადმე გაეუმჯობესებინა საკუთარი მატერიალური მდგომარეობა. შესაბამისად, ეს, მართალია, ზრდიდა საქართველოს მოსახლეობის

ფულადი შემოსავლების დასაქონლიანების დონეს (ჩვენი შეფასებით, ყოველი მანეთის ფულადი შემოსავლების დასაქონლიანებას დაახლოებით 5,2%-ით, 64,5%-დან 69,7%-მდე), მაგრამ არსებითად ვერ სპობდა განსხვავებას (ჩამორჩენას) საშუალო-საკავშირო დონესთან. თანაც, **სხვა რეგიონებში ერთეული საქონლის შეძენა (ზედმეტ ფასად), მისი ტრანსპორტირებისა და რიგის სხვა ხარჯების გათვალისწინებით, საქართველოს მოქალაქეებს 1,5-2,0-ჯერ უფრო ძვირი უჯდებოდათ,** ანუ საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანილი ფულადი მასის ერთეულის მიხედვით, დასაქონლიანობის დონე კიდევ უფრო დაბალი იყო საქართველოს მოქალაქეების საკუთარ რესპუბლიკაში გამოყენებული ფულადი სახსრების დასაქონლიანებასთან შედარებით – საკავშირო დონესთან შედარებით, დაახლოებით, 2,4-4,0-ჯერ უფრო დაბალი.[19] ამასთან, სსრკ-ის სხვა რეგიონებში ერთეული დეფიციტური საქონლის შესაძენად ზედმეტად გადახდილი თანხა იმ რეგიონების ადგილობრივ მოსახლეობას უქმნიდა ყალბ, ირაციონალურ წარმოდგენას საქართველოს მოსახლეობის ვითომდა მაღალ შემოსავლებსა და „ნახევარი რუსეთის შეძენის“ შესაძლებლობაზე.

## ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება

ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე საკმაოდ სანდო ინფორმაციას იძლევა ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების საშუალო სულადობრივი მაჩვენებლები. მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის წარმოებით 1990 წელს საქართველო (2604,5 კვტ.სთ) 15 რესპუბლიკას შორის მე-14 ადგილზე იყო, რაც შესაბამისი საკავშირო მაჩვენებლის (5992,2 კვტ.სთ) მხოლოდ 43,5 პროცენტს შეადგენდა[20]. მართალია, ერთიანი ენერგეტიკული სისტემის პირობებში ცალკეულ რესპუბლიკაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების სიდიდეს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა – რესპუბლიკათაშორისო გადანაწილების შედეგად საქართველოში ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმარება დაახლოებით 1,3-ჯერ სჭარბობდა მის წარმოებას, თუმცა ეს გაზრდილი მოხმარებაც კი მაინც თითქმის 1,8-ჯერ ჩამორჩებოდა საკავშირო მაჩვენებელს.

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს მრეწველობის დაბალი ენერგოტევადობის გამო რესპუბლიკის ეკონომიკას იმ დროს ფაქტობრივად არ ჰქონია ელექტროენერგიის დეფიციტი და არ საჭიროებდა უფრო მეტი ელექტროენერგიის მოხმარებას.

## სოფლის მეურნეობა

საქართველოს სოფლის მეურნეობა, მისი მწარმოებლურობის გათვალისწინებით, ეკონომიკის აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა. დღესაც კი მწარმოებლურობა ამ დარგში საქართველოს ეკონომიკის დანარჩენი დარგების საშუალო მაჩვენებელს 9-ჯერ, ხოლო 1990 წლისას 2,3-ჯერ ჩამორჩება[21]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს აგრარულ სექტორს მოწინავე პოზიციები არც მაშინ ეჭირა. მაგალითად, ხორცის სულადობრივი წარმოებით (31,2 კგ.) საქართველოს 15 რესპუბლიკას შორის X ადგილი ეკავა, კვერცხის წარმოებით – XI ადგილი, რძის წარმოებით კი (121,1 კგ.) იყოფდა XIII-XIV ადგილებს[22]. საქართველო ჩამორჩებოდა ლიტვას ერთ სულზე წარმოებული ხორცით (საუკეთესო მაჩვენებლის მქონე რესპუბლიკას) 4,4-ჯერ, რძის წარმოებით – 7,0-ჯერ, ხოლო ესტონეთს (კვერცხის წარმოებით საუკეთესო მაჩვენებლის მქონე რესპუბლიკას) – 2,5-ჯერ.

ხორბლის დამზადების ფასები საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა არა მარტო საკავშირო დონეს (20,1%-ით), არამედ, ფაქტობრივად, იმავე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მყოფ აზერბაიჯანსა (5,3%-ით) და სომხეთს (27,1%-ით)[23]. ამასთან, შრომის დაბალი მწარმოებლურობის გამო, მეცხოველეობის სექტორი საქართველოში საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველაზე დაბალეფექტიანი და დაბალრენტაბელური იყო. მეცხოველეობის პროდუქციის ყოველი ცენტნერი ნამატის ღირებულება საქართველოში ანალოგიურ საკავშირო მაჩვენებელს 2,5-2,7-ჯერ აღემატებოდა.[24].

## კვების პროდუქტების სულადობრივი მოხმარება

ჩამორჩენა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში მოქმედებდა მათ სულადობრივ მოხმარებაზეც. სსრკ 15 რესპუბლიკას შორის საქართველოს ყველა მიმართულებით ძირითადად ქვედა პოზიცია ეკავა (პურის გარდა): რძისა და რძის პროდუქტების მოხმარებით – VIII ადგილი, თევზეულის მოხმარებით – IX, კარტოფილისა და კვერცხის – XI, მცენარეული ზეთის მიხედვით – XIII ადგილი. მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარებულ ყოველ 1 კგ. პურსა და პურპროდუქტებზე ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება შეადგენდა: საქართველოში – 239 გრ, საშუალოდ სსრკ-ში – 466 გრ, ხოლო ესტონეთში – 967 გრ.

საქართველო ბოლო, მე-15, ადგილზე იყო როგორც მოსახლეობის ერთ სულზე, ისე ერთ დასაქმებულზე შრომის ენერგოშეი-

არაღებით აგრარულ სექტორში (ჩამორჩენა საშუალო-საკავშირო დონესთან, შესაბამისად, 29%-ით და 26%-ით). სოფლის მეურნეობაში თითოეული დასაქმებულის შრომის ენერგოშეიარაღებით საქართველო 5,0-ჯერ ჩამორჩებოდა რუსეთის ფედერაციას და 8,1-ჯერ – ესტონეთს.[25]

**საცხოვრებელი ფართობის ექსპლუატაციაში შეყვანა**

საქართველო საშუალო საკავშირო დონეს უსწრებდა მოსახლეობის ერთ სულზე მოსახლეობის სახსრებით აშენებული საშუალო ბინის ფართობით – დაახლოებით 1/3-ით, ხოლო ინდივიდუალური ბინთმშენებლობის მიხედვით – 26,2%-ით[26].

აქ მხედველობში უნდა მივიღოთ ორი გარემოება: ერთი, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობა სსრკ-ში იყო მოსახლეობის ისეთი „ნებაყოფლობითი“ არჩევანი, რომელიც მათ უყალიბდებოდათ სახელმწიფოს ხარჯზე ბინების მიღების შორეული პერსპექტივისა თუ, საერთოდ, უპერსპექტივობის გამო. ამ დროს ოჯახები გადაანაწილებდნენ საკუთარ ფინანსურ რესურსებს, ახდენდნენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების რიგითობის კორექციას და გამოთავისუფლებულ რესურსებს მიმართავდნენ საკუთარი საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება მოსახლეობის ერთნაირი რაოდენობისთვის აშენებული ბინების საერთო რაოდენობას, საქართველოს ამ მხრივ ბოლო, მე-15, ადგილი ეკავა რესპუბლიკებს შორის, რაც, ბუნებრივია, არ შეესატყვისება თანამედროვე რუსი ექსპერტების მიერ ტირაჟირებულ ზემოხსენებულ ინფორმაციას, რომ საბჭოთა საქართველოში წარმოებულთან შედარებით ოთხჯერ მეტს მოიხმარდნენ.

ყოველი კვადრატული მეტრი საცხოვრისის ექსპლუატაციაში შეყვანა საქართველოში 8 პროცენტით ნაკლები ჯდებოდა საკავშირო დონესთან შედარებით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ერთ სულზე ექსპლუატაციაში საქართველოში მაინც 1,5-ჯერ ნაკლები ფართობი შედიოდა (შესაბამისად, 1,41 $მ^2$ და 2,19 $მ^2$ – მე-14 ადგილი)[27].

მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო ჩამორჩებოდა საკავშირო დონეს კაპიტალური მშენებლობის მოცულობითაც (29,9%-ით)[28]. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სსრკ ბოლო, XII ხუთწლედში (1986-1990 წწ.) რესპუბლიკაში განხორციელებული კაპიტალური დაბანდებების 30% მოდიოდა მიუსერაში (საქართველო, აფხაზეთი) სსრკ პრეზიდენტის სახელმწიფო აგარაკის მშენებ-

ლობაზე, რეალური ჩამორჩენის მასშტაბი, სულ ცოტა, 1,4-ჯერ მაინც უნდა გაიზარდოს.

**სკოლამდელი დაწესებულებებით, ავტომობილებით, ტელევიზორებით მოსახლეობის უზრუნველყოფა**

შობადობის დონე (მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე) საქართველოში, ფაქტობრივად, საშუალო-საკავშირო დონეზე იყო: შესაბამისად, 1980 წ. – 17,6 და 18,3, 1990 წ. – 17,0 და 16,8[29]. მიუხედავად ამისა, სკოლამდელი დაწესებულებებით უზრუნველყოფა საქართველოში 1/4-ით ჩამორჩებოდა საშუალო-საკავშირო დონეს (სკოლამდელი დაწესებულებებით შესაბამისი ასაკის ბავშვების უზრუნველყოფა, შესაბამისად, 42% და 55%[30]).

მსუბუქი ავტომობილების რაოდენობით ყოველ 100 შინამეურნეობაზე საქართველო უსწრებდა საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ბალტიის რესპუბლიკებს (შეადარე: საქართველო – 32, სსრკ – 23, ესტონეთი – 40).

ამავე დროს, საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ტელევიზორების რაოდენობით მოსახლეობის თანაბარი რაოდენობის საკავშირო დონეს: ყოველ 1000 სულზე ტელევიზორების რაოდენობა შეადგენდა: სსრკ-ში – 1035, საქართველოში – 690.[31].

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ადასტურებს, **საქართველო საბჭოთა პერიოდში არ ყოფილა არც პრივილეგირებული და არც ცენტრის კმაყოფაზე მყოფი რესპუბლიკა.** მისი წარმოებისა და მოხმარების მასშტაბები მაქსიმალურად შეესაბამებოდა ერთმანეთს, ხოლო ერთ სულზე შესაბამისი მაჩვენებლები საკავშირო მაჩვენებლებს დაახლოებით 1/4-ით ჩამორჩებოდა.

**დანართი**

## საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები 1990 წელს და მათი თანაფარდობა სსრკ-ის, რუსეთის ფედერაციისა და შესაბამისი ინდიკატორის მხრივ საუკეთესო რესპუბლიკის მაჩვენებელთან

| | მოსახლეობის ერთ სულზე, მანეთი | თანაფარდობა მოსახლეობის ერთ სულზე, % | | | ადგილი სსრკ 15 რესპუბლიკას შორის |
|---|---|---|---|---|---|
| | | სსრკ-სთან | რუსეთთან | აღნიშნული ინდიკატორით საუკეთესო რესპუბლიკის მაჩვენებელთან | |
| წარმოებული ეროვნული შემოსავალი | 1786.1 | 79.1 | 66.9 | 62.6 (ესტონეთი) | IX |
| მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი | 1689.8 | 76.5 | 66.1 | 56.6 (ესტონეთი) | X |
| მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, მანეთი | 214.0 | 77.9 | 72.1 | 62.8 (ესტონეთი) | XIII |
| საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი, მანეთი | 196.3 | 69.8 | 62.7 | 59.1 (ესტონეთი) | XII |
| კოლმეურნეთა საშუალო თვიური ანაზღაურება, მანეთი | 233.4 | 96.8 | 88.1 | 66.4 (ესტონეთი) | XI |
| მოსახლეობის ფულადი შემოსავლები | 2216.1 | 98.0 | 85.8 | 61.5 (ესტონეთი) | VII |
| საქონლის და მომსახურების შეძენა | 1428.5 | 82.9 | 73.5 | 49.1 (ესტონეთი) | X |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფულადი შემოსავლების დასაქონლიანების დონე, % | 64.5 | 84.6 | 85.7 | 75.7 (ლატვია) | XIV |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (საზკვების ჩათვლით) | 1397 | 85.9 | 78.4 | 51.5 (ესტონეთი) | IX |
| ფასიანი მომსახურება | 246 | 98.0 | 87.2 | 65.4 (ესტონეთი) | VII |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელ-ბრუნვა და ფასიანი მომსახურება ერთად | 1645.3 | 87.6 | 79.5 | 53.1 (ესტონეთი) | IX |
| საყოფაცხოვრებო მომსახურება | 70.8 | 124.0 | 119.8 | 73.0 (ესტონეთი) | IV |
| ტელევიზორები, ცალი (ყოველ 100 კაცზე) | 690 | 66.6 | 59.6 | 59.6 (რუსეთი) | IX |
| ხორცის წარმოება 1 სულზე, კგ. | 31.2 | 44.9 | 45.6 | 21.8 (ლიტვა) | X |
| რძის წარმოება 1 სულზე, კგ. | 121.1 | 32.2 | 32.1 | 14.2 (ლიტვა) | XIII |
| კვერცხის წარმოება 1 სულზე, ცალი | 141 | 49.7 | 43.9 | 41.1 (ლიტვა) | XI |
| **კვების ძირითადი პროდუქტების საშუალო სულადობრივი მოხმარება, კგ.:** | | | | | |
| *პური და პურპროდუქტები* | 190 | 142.9 | 159.7 | 100.0 (საქართველო) | I |
| *კარტოფილი* | 104 | 47.1 | 40.0 | 26.5 (ბელარუსი) | XI |
| *ბოსტნეული და ბახჩეული* | 102 | 85.3 | 88.8 | 64.4 (სომხეთი) | X |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *ხორცი და ხორცის პროდუქტები* | 62 | 75.8 | 70.1 | 52.8 (ესტონეთი) | X |
| *რძე და რძის პროდუქტები* | 325 | 95.1 | 89.8 | 63.2 (ესტონეთი) | VIII |
| *კვერცხი* | 260 | 56.9 | 49.5 | 82.5 (ბელარუსი) | XI |
| *თევზი და თევზის პროდუქტები* | 180 | 50.6 | 40.4 | 37.0 (ესტონეთი) | IX |
| *შაქარი* | 42.2 | 103.1 | 93.6 | 92.9 (ლატვია) | VIII |
| *მცენარეული ზეთი* | 9.7 | 58.8 | 58.2 | 46.3 (მოლდოვა) | XIII |
| ელექტროენერგიის წარმოება მოსახლეობის 1 სულზე, კვტ.სთ | 2604.5 | 43.5 | 35.6 | 23.9 (ესტონეთი) | XIV |
| საშუალო წლიური კაპიტალური დაბანდებები (1986-1990 წწ.), მანეთი | 524.0 | 70.1 | 67.3 | 57.3 (რუსეთი) | XI |
| **შრომის პირდაპირი დანახარჯები 1 ცენტნერი პროდუქციის საწარმოებლად, მანეთი:** | | | | | |
| *მარცვლეული (სიმინდის გამოკლებით)* | 2.8 | 280.0 | 280.0 | 350.0 (უკრაინა) | X |
| *კარტოფილი* | 8.8 | 325.9 | 338.4 | 463.2 (ბელარუსი) | XII |
| *მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონაში ნამატი* | 102 | 268.4 | 275.7 | 390.0 (ლიტვა) | XV |
| *ღორის წონაში ნამატი* | 54 | 245.5 | 270.0 | 360.0 (მოლდოვა) | XV |
| *რძე* | 15 | 250.0 | 250.0 | 375.0 (ლატვია) | XV |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *1 ტონა ხორბლის შესასყიდი ფასი, მანეთი* | 250 | 79.9 | 83.3 | 47.4 (მოლდოვა) | XV |
| *1 ტონა რძის შესასყიდი ფასი, მანეთი* | 548 | 98.7 | 83.8 | 83.8 (რუსეთი) | V |
| მოსახლეობის ხარჯზე აშენებული ბინების რაოდენობა ყოველ 1 მლნ. მცხოვრებზე, 1986-1990 წწ. | 928 | 94.3 | 189.8 | 33.8 (ტაჯიკეთი) | VIII |
| აშენებული ბინების რაოდენობა 1986-1990 წლებში ყოველ 1 მლნ. მცხოვრებზე, 1986-1990 წწ. | 3731 | 50.7 | 45.4 | 41.0 (ბელარუსია) | XV |
| ექსპლუატაციაში შესული ფართობი მოსახლეობის 1 სულზე, $მ^2$, 1986-1990 წწ. | 1.41 | 64.4 | 60.8 | 51.8 (ბელარუსი) | XV |
| კაპიტალური დაბანდებები საბინაო მშენებლობაში მოსახლეობის ერთ სულზე, 1986-1990 წწ. | 363.0 | 59.1 | 50.9 | 39.0 (სომხეთი) | XIV |
| ბავშვების უზრუნველყოფა სკოლამდელი დაწესებულებებით (შესაბამისი ასაკის ბავშვების პროცენტი) | 42 | 76.4 | 63.7 | 58.1 (მოლდოვა) | IX |
| ენერგეტიკული სიმძლავრეები სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 1 სულზე, კვტ.სთ | 0.59 | 29.1 | 28.2 | 15.8 (ლატვია) | XV |
| ენერგეტიკული სიმძლავრეები სოფლის მეურნეობაში 1 მუშაკზე, კვტ.სთ | 7.6 | 26.4 | 20.5 | 12.6 (ესტონეთი) | XV |

## შენიშვნები

1. А. Чубайс. Миссия России в XXI веке. – «Независимая газета», 1.10.2003
2. Константин Крылов. Согласно законов гостеприимства. Апн.ру. 27.06.2019. www.apn.ru/index.php?newsid=37897; Калабеков И.Г. СССР и страны мира в цифрах. Справочное издание. М., 2019, 359 с. www.su90.ru/su465.pdf
3. პაპავა ვ., სილაგაძე ა. როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი ”Gross Domestic Product”. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №7.
4. A Comparison of Soviet and US Gross National Produqts. W., 1999. www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC_0000498181.pdf; Maddison Project Database 2018. *Groning Growth and Development centre Faculty of Economics and Business*, 2018, <www.rug.nl/ggdc/historicaldevelopment/maddison/releases/maddison-project-database-2018>; Tim Vlandas T., *Evolution of GDP per capita in USSR versus over developed countries*, 2016, <www.timvlandas.com/2016/01/15/evolution-of-gdp-per-capita-in-ussr-versus-over-developed-countries/>;
5. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991. გვ. 7. Economic Syrvey of Europe, 2004, N2
6. A Comparison of Soviet and US Gross National Produqts. W., 1999. www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC_0000498181.pdf
7. Статистический бюллетень Госкомстата СССР, 17.12.1990, გვ. 21, 29, 30.
8. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991, გვ. 639.
9. იქვე, გვ. 640.
10. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991, გვ. 640; Статистический бюллетень Госкомстата СССР, 17.12.1990, გვ. 29, 30.
11. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991, გვ. 38-39.
12. სსრკ-ში ამ დროს გაჩნდა შემდეგი შინაარსის ხუმრობა: „განვითარებული სოციალიზმი – ესაა ხანგრძლივი ეტაპი საზოგადოების განვითარებაში, როდესაც უფულოდ ჯერ არაფერს არ იძლევიან, ხოლო ფულით უკვე შეუძლებელია რაიმეს ყიდვა“.
13. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991, გვ. 486, 488.
14. 1990 წელს საქართველოში წარმოებული ჩაის მოცულობამ 516.1 ათასი ტონა შეადგინა. 1 კგ. ჩაის ფოთლის დამზადების ღირებულება დაახლოებით 0.41 მანეთს შეადგენდა, შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლები ჩაის დამზადებიდან დაახლოებით 200 მლნ. მანეთს აღწევდა.
15. Основные показатели роста доходов и благосостояния населения Грузинской ССР. Статистический сборник. Тбилиси, 1988, გვ. 16.

16. Народное хозяйство Грузинской СССР в 1988 году. Статистический ежегодник. Тбилиси, 1990, გვ. 237.

17. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991, გვ. 121-122б 152.

18. ი. არჩვაძე „რა ღირს მანეთი?“, „რესპუბლიკა“, 6.10.1990 წ.

19. იქვე.

20. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991, გვ. 395;

21. ი. არჩვაძე, აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში, „ეკონომიკური პროფილი“, 17, 2017, გვ. 22.

22. Народное хозяйство СССР в 1990 году. М., «Финансы и статистика», 1991, გვ. 03-504.

23. იქვე, გვ. 162.

24. იქვე, გვ. 457.

25. იქვე, გვ. 441-442.

26. იქვე, გვ. 183-184.

27. იქვე, გვ. 177, 187.

28. იქვე, გვ. 553.

29. იქვე, გვ. 89.

30. იქვე, გვ. 244.

31. იქვე, გვ. 634.